

შპს “კამექს ინთერნეიშნლ“-ი ახორციელებს ამანათების ტრანსპორტირების ორგანიზებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. შპს “კამექს ინთერნეიშნლ“-ის სერვისით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრაციას გაივლის კომპანიის ვებ-გვერდზე. რეგისტრაცია უფასოა, მომსახურების პირობები საჯარო. რეგისტრაცია ხორციელდება ვებ-გვერდზე www.camex.ge. შპს “კამექს ინთერნეიშნლ“-ის მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს რომ რეგისტრირებული პირი გაეცნო ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მას.

1. ხელშეკრულების საგანი

შპს “კამექს ინთერნეიშნლ“ (შემდგომში „შემსრულებელი“) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, თავისი სახელით და შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.camex.ge-ზე რეგისტრირებული პირის (შემდგომში „მომხმარებელი“) ხარჯზე, ახორციელებს სატრანსპორტო ექსპედიციას. შემსრულებელი უზრუნველყოფს მომხმარებლის ტვირთის ტრანსპორტირების ორგანიზებას საქართველოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ამ ქვეყნებში მდებარე შემსრულებლის პარტნიორი კომპანიების საწყობში (შემდგომში „შემსრულებლის საწყობი“) ტვირთის მიღების შემდეგ. ქვეყნები, რომლებიდანაც ხდება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მითითებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე.

2. ტრანსპორტირების ღირებულება, ამანათის წონის გამოთვლა, განზაფხება

2.1 ტრანსპორტირების ღირებულება საამანათე გზაგანილებზე მითითებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.camex.ge.

2.2. უცხოური ვალუტის კურსი ლართან მიმართებაში იანგარიშება ამანათის მომხმარებლის პირად ოთახში ასახვის დღეს საქართველოს კომერციული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტის შესყიდვის კურსით.

2.3. ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათის საერთო წონის მიხედვით, მისი რეალური და მოცულობითი წონის გათვალისწინებით. თუ მოცულობითი წონა აჭარბებს რეალურს, მაშინ ტრანსპორტირების გადასახადი დაითვლება მოცულობითი წონიდან. მოცულობითი წონის დაანაგრიშება ხდება შემდეგი ფორმულით: სიგრძე X სიგანე X სიმაღლე / 366 (ინჩებში გაზომვის შემთხვევაში) ან /6000 (სანტიმეტრებით გაზომვისას).

2.4. მომხმარებელი ვალდებულია შემსრულებელთან ანგარიშწორება განახორციელოს გზაგანილის თბილისში ჩამოსვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, შემსრულებლის მიერ გამოწერილი ინვოისის ან მომხმარებლის პირად ოთახში მითითებული თანხის შესაბამისად. მომხმარებელი ვერ გაიტანს გზაგანილს, თუ შემსრულებლისთვის არ აქვს გადახდილი გზაგანილის ტრანსპორტირების საფასური. მომხმარებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს მომხმარებელს

პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გზვნილის ღირებულების 1% -ის ოდენობით, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

2.5. ამანათის დეკლარირება (გამომგზავნის დასახელების, თრექინგ კოდის, ამანათში მოთავსებული ნივთების რაოდენობის, ფასის მითითება) მომხმარებლის მიერ სავალდებულოა. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომხმარებელს.

2.6. ტვირთის განბაჟებაზე პასუხისმგებელია კლიენტი.

2.7. შემსრულებელი, მომხმარებლის დეკლარაციის მიხედვით, ადგენს საბაჟო დეკლარაციას. საბაჟო დეკლარაციის მომზადების ღირებულება განისაზღვრება:

2.7.1. ფიზიკური პირებისათვის 10 ლარის ოდენობით;

2.7.2. იურიდიული პირებისათვის 20 ლარის ოდენობით.

2.8. მზა საბაჟო დეკლარაცია მომხმარებელს გადაეცემა კუთვნილ ამანათთან ერთად. ბაჟის გადახდა ხორციელდება დეკლარაციის დაბეჭდიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ნებისმიერ ბანკში. აღნიშნული წესი არ მოქმედებს გამონაკლის შემთხვევებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2.9. ამანათის განბაჟება და სხვა საბაჟო პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაჟო სამსახურების მიერ ამანათის გაჩერების ან/და მომხმარებლის მიერ ინფორმაციის წარუდგენლობის ან სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ამანათის სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის, მომხმარებლისთვის სანქციების დაკისრების შემთხვევაში მომხმარებელი ვერ წარუდგენს პრეტენზიას შემსრულებელს, რომ მას არ ქონდა შესაბამისი ინფორმაცია შემსრულებლისგან კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების და დაწესებული სანქციების შესახებ. მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები. შემსრულებელს უფლება აქვს მიაწოდოს მომხმარებელს სათანადო ინფორმაცია საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს შემსრულებლის ვალდებულებას. ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება საბაჟო პროცედურებს განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე.

3. მომხმარებლის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა

3.1. ხელშეკრულების სხვა მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების და პასუხისმგებლობის გარდა, მომხმარებლის დამატებითი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე მუხლით.

3.2. მომხმარებელი ვალდებულია რეგისტრაციისას შეავსოს შემსრულებლის მიერ რეგისტრაციისთვის დადგენილი ფორმა. რეგისტრაციის შემდგომ, მომხმარებელს შემსრულებლის ვებ-გვერდზე გაეხსნება საკუთარი პირადი ოთახი საიდენტიფიკაციო C ნომრით.

3.3. მომხმარებელი პასუხისმგებელია მის მიერ მოწოდებული პირადი, საკონტაქტო, ტვირთის შესახებ ინფორმაციის სიზუსტეზე. შემსრულებელი არ აგებს პასუხს მომხმარებლის მიერ არასწორად მოწოდებული ინფორმაციის გამო ზიანის წარმოქმნის შემთხვევაში.

3.4. მომხმარებელი ვალდებულია ამანათის შესახებ ინფორმაცია შეავსოს (მოახდინოს ამანათის დეკლარირება) მომხმარებლის პირად ოთახში მითითებული მონაცემების მიხედვით. მომხმარებელს უფლება აქვს განახორციელოს ნივთის წინასწარი

დეკლარირება გამომგზავნის მიერ თრეინგ კოდის მინიჭებისთანავე, რათა მის პირად ოთახში წინასწარ აისახოს ამანათის საწყობში შესვლის შესახებ ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს ამანათის იდენტიფიცირებას საწყობში შესვლისთანავე.

- 3.5. მომხმარებელს არ აქვს უფლება შემსრულებელს შეუკვეთოს ისეთი ტვირთის ჩამოტანა რომლის ტრანსპორტირებაც აკრძალულია, როგორც საქართველოს, ასევე, იმ ქვეყნების კანონმდებლობით, საიდანაც ხორციელდება ტვირთის ტრანსპორტირება. აკრძალული ნივთების შესახებ დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე.
- 3.6. თუ მომხმარებელი, მიუხედავად დაწესებული აკრძალვისა შემსრულებლის საწყობში მაინც გაგზავნის ასეთი სახის ტბარავირთს, შემსრულებელს უფლება აქვს არ მიიღოს საწყობში აღნიშნული ტვირთი, ან მიღების შემთხვევაში მოსთხოვოს მომხმარებელს ე.წ. „return label“-ი, რომლის არ მიწოდების შემთხვევაში შემსრულებელი იხსნის პასუხისმგებლობას უკან გაუგზავნოს აღნიშნული ტვირთი გამომგზავნ კომპანიას ან/და ფიზიკურ პირს. შემსრულებლის მიერ ასეთი სახის ტვირთის მიღების შემთხვევაში, როდესაც ტვირთის გარეგნული მახასიათებლებიდან გამომდინარე შეუძლებელია დადგინდეს აკრძალული ტვირთის სახეობა, შემსრულებელს უფლება აქვს ასეთი შემთხვევის გამოვლენისთანავე დაუყონებლივ შეუწყვიტოს მომხმარებელს მომსახურება. ამავე დროს, შემსრულებელი იხსნის პასუხისმგებლობას უკან გადაუგზავნოს აღნიშნული ტვირთი გამომგზავნ კომპანიას ან/და ფიზიკურ პირს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსრულებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მომხმარებლის მიერ გაწეული ხარჯებისათვის. ასევე, შემსრულებელს უფლება აქვს დააკისროს მომხმარებელს წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.
- 3.7. მომხმარებელმა შემსრულებლის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მას შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, აგრეთვე უნდა მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად. გარდა ამისა, მომხმარებელმა შემსრულებელს უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად.
- 3.8 საფრთხეშემცველი ტვირთის არსებობისას მომხმარებელმა უნდა გააფრთხილოს შემსრულებელი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე.
- 3.9 ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა შემსრულებელმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.
- 3.10 მომხმარებელი ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს შემსრულებელს ინფორმაცია ტვირთთან დაკავშირებით, თუ ის შეიცავს სითხეს, ზეთს ან ადვილად მსხვრევად ელემენტებს, სხვა შემთხვევაში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საჩივრები არ განიხილება და არ დგება შემსრულებლის პასუხისმგებლობა.
- 3.11 იმ შემთხვევაში, თუ, მოხდება შემსრულებლის დაჯარიმება ან/და შემსრულებლისთვის სხვა სახის ზიანის მიყენება მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების ან/ და ხელშეკრულების სხვა პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ

შეუსრულებლობის გამო (მაგ: პროდუქციის არასრული ან არაზუსტი დეკლარირება და სხვა) შემსრულებელს უფლება აქვს მიყენებული ზიანის ანაზღურება დააკისროს მომხმარებელს.

3.12 მომხმარებელი ვალდებულია ამანათის მიღებისას გადაამოწმოს ამანათის შიგთავსი. ოფისიდან გასვლის შემდეგ პროდუქციის დაზიანების შესახებ პრეტენზიები აღარ განიხილება და შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი ამანათში არსებული პროდუქციის შესაძლო დაზიანებაზე ან დანაკლისზე.

3.13 მომხმარებელი ვალდებულია გზავნილის გატანა (თანხის გადახდის შემდგომ) განახორციელოს ტვირთის თბილისში ჩამოსვლიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში. მომხმარებლის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს მომხმარებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გზავნილის 1 კგ-ზე 1 აშშ დოლარის ოდენობით.

4. შემსრულებლის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1. მომხმარებლის ამანათების ტრანსპორტირებაზე შემსრულებელი პასუხისმგებელი ხდება შემსრულებლის საწყობში მათი ჩაბარებისა და საწყობში ამანათის მიღების დოკუმენტზე ხელმოწერის მომენტიდან ადრესატისათვის გადაცემამდე.

4.2. შემსრულებელი პასუხს არ აგებს:

4.2.1. მომხმარებლის მიერ შეძენილი პროდუქციის ხარისხსა და რაობაზე;

4.1.2. მაღაზიის მიერ არასათანადოდ შეფუთული ნივთების მდგომარეობაზე;

4.1.3. ქვეყნების (რომლიდანაც უნდა მოხდეს ამანათების ტრანსპორტირება) შიდა საფოსტო კურიერების მიერ მცდარ მისამართზე ჩაბარებულ, ხელმოუწერელ ამანათებზე;

4.1.4. ტვირთის დაზიანებაზე, თუ პროდუქცია შეძენილია კერძო პირისგან, ebay ან სხვა ტიპის აუქციონზე, ასევე ჩამოწერილ, შეკეთებულ ან მეორადი მოხმარების ნივთებზე.

4.2. შემსრულებელს უფლება აქვს შეამციროს ამანათი ზომაში (აღნიშნული მოქმედებს მხოლოდ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის შემთხვევაში), რაც გულისხმობს ნივთების ყუთის დაპატარავებას მაქსიმალურად ან სხვა ყუთში გადადებას. ამანათის ზომაში შემცირებისას არ ხდება პროდუქციის გადატანა პოლიეთილენის პარკებში (თუ ამანათი საწყობში მიღებული იქნება ცელოფნის შეფუთვით, გამოგზავნილი იქნება იგივენაირად.)

4.3. თუ, მომხმარებლის მიერ მართებულად შეძენილი პროდუქცია წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობის დაცვით შესულია შემსრულებლის საწყობში, აქვს შემსრულებლის საწყობის წარმომადგენლის ხელმოწერა და 1 თვის განმავლობაში არ აისახა პირად ოთხაში, ამოქმედდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების პირობები;

4.4. თუ, ამანათს არ აქვს დართული სწორი პარამეტრები მომხმარებლის/მაღაზიის მიერ, არ ემთხვევა ან აკლია პირადი ოთახის ნომერი, სახელი და გვარი, შეცდომით არის

მიწოდებული თრეჟინგი - შემსრულებელი პასუხს არ აგებს ასეთი ამანათის დროულად მიწოდებასა და მომხმარებლისთვის გადაცემაზე. პროცედურა გახანგრძლივდება გაურკვეველი ვადით პროდუქციის სრულ იდენტიფიკაციამდე ინვოისისა და ამანათის შემადგენლობის საფუძველზე.

- 4.5. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი იმ ტვირთზე, რომელიც მიტანილია შემსრულებლის საწყობში დაზიანებული ან არ შეესაბამება ინვოისს. ასეთ შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს არ ჩაიბაროს აღნიშნული ნივთი და ამის შესახებ აცნობოს მომხმარებელს ელექტრონულ ფოსტაზე ან დაუკავშირდეს ტელეფონით.
- 4.6. შემსრულებელს უფლება აქვს უარი თქვას მომსახურების გაწევაზე, თუ ტვირთის მახასიათებლები ან მომხმარებლის მიერ მიწოდებული სხვა ინფორმაცია არ არის სრული.
- 4.7. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი ისეთ ამანათზე, რომელსაც არ აღენიშნება შეფუთვის გარეგნული ზიანი, რაც შემოწმებული უნდა იქნას ადგილზე ამანათის ოფისიდან გატანამდე ან საკურიერო მომსახურებისას კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით.
- 4.8. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი ტვირთის ჩამოსვლის დაგვიანებაზე თუ ეს გამოწვეულია ავიაკომპანიის ფრენის რეისის განრიგის შეცვლის ან/და სხვა მიზეზით გადადების გამო.
- 4.9. შემსრულებელი პასუხს არ აგებს თუ ტვირთის დაკავება, კონფისკაცია, დაყადაღება, მოხდება საბაჟო სამსახურების ან/და ნებისმიერი სახელმწიფო სამსახურების მიერ ტვირთის შემცველობის ან/და მომხმარებლის მიერ არასწორად დეკლარირებული დოკუმენტების, განბაჟების საფასურის გადაუხდელობის გამო.
- 4.10. შემსრულებელი არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია მომხმარებლის მხრიდან არასწორი, არასრული, ან სხვა არასარწმუნო ინფორმაციის მიწოდების შედეგად.
- 4.11. შემსრულებლის ბრალით ტვირთის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი. ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება პროდუქციის ღირებულებით, რაც პროდუქციის შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტშია მითითებული და არ აღემატება მომხმარებლის მიერ დეკლარირებისას მითითებულ თანხას.
- 4.12. შემსრულებლის პასუხისმგებლობა არ დგება თუ, შემსრულებლის საწყობში ამანათის მიღებაზე არ არის საწყობის თანამშრომლის ხელმოწერა.
- 4.13. შემსრულებელს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად გააფორმოს ხელშეკრულებები მესამე პირებთან.
- 4.14. ამანათს, რომელიც არ იქნება გატანილი შემსრულებლის ოფისიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში, შემსრულებელი განკარგავს თავისი შეხედულებისამებრ. აღნიშნული დათქმა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც, შემსრულებელი ვალდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადასცეს ამანათი სახელმწიფოს ამანათის საქართველოს საზღვარზე შემოსვლიდან 30 (ოცდაათი) დღის შემდეგ, თუ, მომხმარებელი აღნიშნულ ვადაში არ წარადგენს

სათანადო ინფორმაციას დეკლარაციის შესავსებად ან შემსრულებელი ვალდებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადასცეს ამანათი სახელმწიფოს, თუ, მომხმარებლის მიერ არ იქნება შესრულებული კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

4.15. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს გააჩნია დავალიანება, შემსრულებელს უფლება აქვს არ განახორციელოს მომსახურება ახალ გზავნილზე ან/და არ გასცეს გზავნილი, მომხმარებლის მიერ არსებული დავალიანების სრულად დაფარვამდე.“

5. საკურიერო მომსახურება

5.1. საკურიერო მომსახურება სრულდება როგორც თბილისში, ასევე, საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. საკურიერო მომსახურების პირობები განსაზღვრულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.camex.ge.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ, მომხმარებელი დეკლარაციაში მითითებულ მისამართზე არ იმყოფება და/ან ტელეფონს არ პასუხობს, ამანათის სტატუსი განიხილება როგორც - შეუძლებელია მიტანა - და მომხმარებელი ვალდებულია ამანათი გაიტანოს შემსრულებლის ოფისიდან. ამავე დროს, მომხმარებელს საკურიერო მომსახურებაში გადახდილი თანხა არ უბრუნდება.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული საკურიერო მომსახურების გარდა, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს „გლოვოს“ მიტანის სერვისის აპლიკაციით გათვალისწინებული საკურიერო მომსახურებით. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შემსრულებელი განმარტავს, რომ მომხმარებლის მიერ „გლოვოს“ მომსახურების გამოყენება არ მიეკუთვნება უშუალოდ შემსრულებლის მიერ განხორციელებულ საკურიერო მომსახურებას. „გლოვოს“ მომსახურების გამოყენება ხდება მომხმარებლის სურვილისამებრ, „გლოვოსა“ და მომხმარებელს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე. ამასთანავე, შემსრულებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომხმარებლის მიერ „გლოვოს“ აპლიკაციის საშუალებით კურიერის მომსახურებით სარგებლობისას, ამანათის (ნივთის) კურიერისთვის გადაცემის შემდგომ შემსრულებელი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.

5.4. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული საკურიერო მომსახურების გარდა, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს „ვოლტის“ მიტანის სერვისის აპლიკაციით გათვალისწინებული საკურიერო მომსახურებით. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შემსრულებელი განმარტავს, რომ მომხმარებლის მიერ „ვოლტის“ მომსახურების გამოყენება არ მიეკუთვნება უშუალოდ შემსრულებლის მიერ განხორციელებულ საკურიერო მომსახურებას. „ვოლტის“ მომსახურების გამოყენება ხდება მომხმარებლის სურვილისამებრ, „ვოლტისა“ და მომხმარებელს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე. ამასთანავე, შემსრულებელი ხაზგასმით

აღნიშნავს, რომ მომხმარებლის მიერ „ვოლტის“ აპლიკაციის საშუალებით კურიერის მომსახურებით სარგებლობისას, ამანათის (ნივთის) კურიერისთვის გადაცემის შემდგომ შემსრულებელი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან.“

6. მომსახურების განრიგი, ამანათის მიღება

- 6.1. თბილისში რეისების შესრულების განრიგზე ინფორმაცია განთავსებულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.camex.ge.
- 6.2. ამანათების გაცემა ხდება შემსრულებლის როგორც თბილისის ასევე, რეგიონალური ოფისებიდან. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე www.camex.ge.
- 6.3. ამანათი ჩაბარდება უშუალოდ მომხმარებელს (პირადობის მოწობის ან პასპორტის წარდგენა სავალდებულოა). ამანათის გატანა შესაძლებელია მინდობილობის წარდგენის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს სურს ამანათი გაიტანოს სხვა პირმა, მინდობილობის წარდგენის გარეშე, მომხმარებელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს შემსრულებელს ელ-ფოსტაზე info@camex.ge გზავნილის თრექინგისა და გაზვნილის მიმღების პირადი მონაცემების მითითებით იმ მეილიდან, რომლითაც მომხმარებელი რეგისტრირებულია შემსრულებლის სისტემაში. მიუხედავად, აღნიშნული დაშვებისა შემსრულებელს კონკრეტულ შემთხვევებში უფლება აქვს ნივთის გაცემისათვის თავისი შეხედულებისამებრ მოითხოვოს სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა, ამასთანავე, შემსრულებელს უფლება აქვს არ გასცეს მინდობილობის გარეშე ამანათი, თუ, ამანათი ექვემდებარება განბაჟებას ან ამანათი ეკუთვნის იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციას.

7. სხვა დებულებები

- 7.1. ყველა ინფორმაცია და მომსახურების პირობა ასახულია შემსრულებლის ვებ-გვერდზე წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აღნიშნული ვრცელდება შემსრულებლის ვებ-გვერდზე მითითებულ ინსტრუქციებთან დაკავშირებითაც, რომლის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი იხსნის ვალდებულებას პასუხისმგებლობაზე.
- 7.2. შემსრულებელი უფლებას იტოვებს მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების შემდეგ, მასთან შეთანხმების გარეშე, შეცვალოს მომსახურების მიწოდების პირობები, ტარიფები, ან შეუწყვიტოს მომხმარებელს მომსახურების მიწოდება.
- 7.3. შემსრულებელს უფლება აქვს მოახდინოს მომხმარებელთან ურთიერთობის ამსახველი მონაცემების ჩაწერა და დამახსოვრება ინტერნეტის, სატელეკომუნიკაციო თუ ვიდეო

სამეთვალყურეო სისტემების ყველა სახეობის საშუალებით, მათ შორის ელ–ფოსტით გამოგზავნილი წერილები, ჩათით ან ტელეფონით საუბრები, ფეისბუქის თუ ბლოგის კომენტარები, რაც შემსრულებელმა შეიძლება გამოიყენოს თავისი უფლებების დაცვის მიზნით მომხმარებელთან სასამართლო ან სხვა დავის წარმოქმნის შემთხვევაში.

- 7.4. მომხმარებლის პირადი ინფორმაცია დაცულია. შემსრულებელი არ გადასცემს მესამე მხარეს მომხმარებლის შესახებ რაიმე ინფორმაციას სასამართლო დადგენილების გარეშე.
- 7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან ერთად, მხარეებს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.